ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 499

"24" ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 2 ივნისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-259-11-11441 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული აუქციონის განსაკუთრებული პირობის ცვლილების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე და ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 2 ივნისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-259-11-11441 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული აუქციონის განსაკუთრებული პირობის ცვლილების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 ოქტომბრის №25.1683.1898 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 2 ივნისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-259-11-11441 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებულ აუქციონის განსაკუთრებული პირობების „ბ" პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მშენებლობის ნებართვის აღებიდან 5 წლის ვადაში ნებართვით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულება".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე